



**"ენერგოეფექტურობის  
ცენტრის"  
ყრველკვირული  
საინფორმაციო  
ბიულეტენი**



**N 27, 2021**

# სარჩევი

ნავთობი და გაზი .....	2
ენერგეტიკის საერთაშორისო სააგენტო: მიმდინარე წელს ბუნებრივ აირზე გლობალური მოთხოვნა 3,6%-ით გაიზრდება .....	2
ერდოღანი: “TANAP და TAP დიდ სტიმულს აძლევენ ევროპის ეკონომიკურ განვითარებას” .....	2
ელექტროენერგეტიკა.....	3
უდაბნოს მზის ელექტროსადგურის ასაშენებლად ინტერესთა გამოხატვა გამოცხადდა....	3
მედეგი, მრავალფეროვანი ენერჯო ბაზრის განვითარების მიზნით USAID ახალ პროგრამას იწყებს საქართველოში.....	3
განახლებადი ენერჯია და ენერგოეფექტურობა.....	4
სუფთა ენერჯიაზე გადასვლის მხარდაჭერა: ევროკავშირი აღმოსავლეთ პარტნიორობის რეგიონში პროგრამის, EU4Energy ახალ ფაზას იწყებს.....	4
თბილისის მერია 90 მილიონად გარე განათებას ყიდულობს - ტენდერი ხელახლა გამოცხადდა.....	5
კლიმატის ცვლილება.....	6
2050 წლის ბოლოსთვის კლიმატის ცვლილების გამო მსოფლიო ეკონომიკა 10%-ით შემცირდება.....	6
18.3 გრადუსი ცელსიუსი — გაერო ანტარქტიდის ახალ ტემპერატურულ რეკორდს ოფიციალურად ადასტურებს.....	6
პუბლიკაციები.....	7
ღონისძიებები .....	7

## ნავთობი და გაზი

### ენერგეტიკის საერთაშორისო სააგენტო: მიმდინარე წელს ბუნებრივ აირზე გლობალური მოთხოვნა 3,6%-ით გაიზრდება

ენერგეტიკის საერთაშორისო სააგენტო (IEA) წელს ბუნებრივ აირზე გლობალური მოთხოვნის 3,6%-ით ზრდას პროგნოზირებს.

გარდა ამისა, ორგანიზაციამ 2022-2024 წლების პროგნოზი გამოაქვეყნა, სადაც ნათქვამია, რომ მოთხოვნა 1,7%-ით გაიზრდება.

IEA მიიჩნევს, რომ მიუხედავად იმისა, რომ პარიზის შეთანხმება, რომელსაც 190-ზე მეტმა ქვეყანამ მოაწერა ხელი და რომლის მიზანაც გლობალური დათბობის 1.5 გრადუსამდე შემცირებაა, საწვავის მოხმარების შეზღუდვას ითვალისწინებს, აღნიშნული არ შეამცირებს “ლურჯი საწვავის” გამოყენებას მოკლევადიან პერიოდში.

”თუ ქვეყნები არ განაგრძობენ ნულოვანი ემისიის პოლიტიკის მკაცრად გატარებას 2050 წლამდე, ბუნებრივ აირზე მოთხოვნა გაიზრდება”, – აცხადებს IEA.

<https://cutt.ly/7mRFcsS>

### ერდოღანი: “TANAP და TAP დიდ სტიმულს აძლევს ევროპის ეკონომიკურ განვითარებას”

”თურქეთი ევროპის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ენერგეტიკული პარტნიორია” - აღნიშნულის შესახებ თურქეთის პრეზიდენტმა რეჯეფ თაიფ ერდოღანმა სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის თანამშრომლობის სამიტზე ანტალიაში განაცხადა.

მისი სიტყვებით, ტრანს-ანატოლიური გაზსადენისა (TANAP) და ტრანს-ადრიატიკური მილსადენის (TAP) დასრულებით, ჩამოყალიბდა მეოთხე მთავარი არტერია, რომლის გავლითაც ბუნებრივი აირი ევროპას მიეწოდება.

ერდოღანმა ასევე დაამატა, რომ TANAP-ისა და TAP-ის პროექტები უზრუნველყოფს ევროპის ენერგეტიკულ უსაფრთხოებას და დიდ სტიმულს აძლევს ეკონომიკურ განვითარებას.

ტრანს-ანატოლიური გაზსადენის პროექტი, როგორც სამხრეთ გაზის დერეფნის სეგმენტი, ახორციელებს ბუნებრივი აირის ტრანსპორტირებას კასპის ზღვის შაჰ-დენიზის საბადოდან თურქეთსა და ევროპაში. მაგისტრალური ხაზის TANAP-ის სიგრძე 1,850 კილომეტრია და მდებარეობს არდაჰანის რეგიონთან ახლოს, თურქეთ-საქართველოს საზღვარზე. დაწყებული არდაჰანიდან, გადაკვეთს ყარსს, ერზურუმს, ერზინჯანს, ბაიბურტს, გუმუშჰანას, გირესუნს, სივასს, იოზგატს, კირშეჰირს, კირიკკალემს, ანკარას, ესკისეჰირს, ბილევციკს, კუტაჰიას და, ბურსას. მთლიანობაში, გაივლის 20 ქალაქს, 67 დაბასა და 600 სოფელს, ჩანაკკალეს, ტეკირდაგსა და ედირნეს ჩათვლით და მთავრდება ედირნეში, თურქეთ-საბერძნეთის საზღვართან. აქ ის უერთდება TAP-ის მილსადენს, რომელიც ბუნებრივი აირის ტრანსპორტირებას მოახდენს ევროპის ქვეყნებში.

TAP, როგორც სამხრეთ გაზის დერეფნის ბოლო სეგმენტი, რომელიც ევროპის ბუნებრივი აირის ახალ წყაროზე საიმედო წვდომას უზრუნველყოფს და სტრატეგიული დანიშნულება



აქვს, მნიშვნელოვან როლს ასრულებს ევროპის ენერგეტიკული უსაფრთხოების განმტკიცებაში, მარაგების დივერსიფიკაციასა და დეკარბონიზაციის მიზნების მიღწევაში.

<https://cutt.ly/mmRFbDu>

## ელექტროენერგეტიკა

### უდაბნოს მზის ელექტროსადგურის ასაშენებლად ინტერესთა გამოხატვა გამოცხადდა

უდაბნოს მზის ელექტროსადგურის ასაშენებლად მთავრობა ახალ ინვესტორს ეძებს და ახალი ინტერესთა გამოხატვაც გამოცხადდა. ინტერესთა გამოხატვის ფარგლებში „საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდი“ გეგმავს ინვესტორის მოძიებას, „უდაბნოს მზის ელექტროსადგურის“ პროექტის განვითარებისა და მშენებლობის მიზნით, რომელსაც გადასცემს „საქართველოს მზის კომპანიის“ საწესდებო კაპიტალში 90%-იან წილს.

ელექტროსადგური სოფელ უდაბნოს მიმდებარე ტერიტორიაზე უნდა აშენდეს, მისი დადგმული სიმძლავრე 5 მგვტ-ია.

პროექტის სავარაუდო ღირებულება 3,450,000 აშშ დოლარია, საიდანაც ფონდის 10%-ს გაიღებს.

პროექტის განხორციელებაზე საუბარი წლების მიდის. გამოცხადდა ტენდერიც, სადაც გამარჯვებულად „სოლარ ფაუერ ჯორჯია“ გამოცხადდა. თუმცა, პროექტი ვერ განხორციელდა. პროექტის გაჭიანურება ძირითადად კომერციულმა საკითხებმა გამოიწვია, რადგან აღნიშნული ობიექტის ინვესტორებს საქართველოს მთავრობასთან გარანტირებული შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება (PPA) გაფორმებული არ ჰქონდათ და უდაბნოში აშენებული მზის სადგურის ელექტროენერგია ბაზარზე, სახელმწიფოს დახმარების გარეშე უნდა გაიყიდოს.

„მათ ვერ მოიძიეს შესაბამისი დაფინანსება. ვგულისხმობ, როგორც საკუთარ კაპიტალს, ასევე ბანკებიდან სესხების აღებას. მიზეზი კი, ბაზარზე ელექტროენერგიის ტარიფის არაპროგნოზირებადობა იყო. ყველგან ისმოდა ეს კითხვა – რა ფასს მიიღებს, როცა ბაზარზე ივაჭრებს ეს სადგური. თუმცა, ამ პრობლემის წინაშე აღარ აღმოვჩნდებით, ვინაიდან 2021 წლიდან გვექნება ელექტროენერგიის ბირჟა, სადაც აღარ იმოქმედებს გარანტირებული შესყიდვების ტარიფი და იქნება საბაზრო ფასწარმოქმნა. რაც იმას ნიშნავს, რომ ყველას ექნება შესაძლებლობა დაითვალოს ელექტროენერგიის ტარიფი და შესაბამისად, სამომავლო პროგნოზი გააკეთოს,“ – აცხადებდა „საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდის“ ხელმძღვანელი გიორგი ჩიქოვანი 2020 წლის შემოდგომაზე.

<https://cutt.ly/TmRFQIf>

### მედეგი, მრავალფეროვანი ენერგო ბაზრის განვითარების მიზნით USAID

#### ახალ პროგრამას იწყებს საქართველოში

USAID-ის „ენერგეტიკული მომავლის უზრუნველყოფის პროგრამის“ დაწყება ამერიკა-საქართველოს სტრატეგიულ პარტნიორობაში წინ გადადგმული მნიშვნელოვანი ნაბიჯია.

პროგრამა ხუთი წლის განმავლობაში განხორციელდება და ხელს შეუწყობს პოლიტიკურ რეფორმებს და კერძო ინვესტიციების მოზიდვას, რასაც შედეგად საქართველოს ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის განახლება და ელექტრიფიკაციის წარმოების ახალი ობიექტების შექმნა მოჰყვება.

დაგეგმილი ღონისძიებები USAID-ის სტრატეგიულ მიზნების ნაწილია, რომელიც საქართველოს ოჯახებს და ბიზნესებს უზრუნველყოფს სტაბილური, ხელმისაწვდომი ელექტროენერჯით. პროექტის განხორციელების შედეგად გაიზრდება მედეგობა გარე მავნე ზეგავლენის წინააღმდეგ, მათ შორის იმპორტირებულ ენერჯიაზე ზედმეტი დამოკიდებულების და კიბერშეტევების წინააღმდეგ.

ნახეთ ვრცელი ინფორმაცია აქ <https://bit.ly/3xzOorE>

## განახლებადი ენერჯია და ენერგოეფექტურობა

### სუფთა ენერჯიაზე გადასვლის მხარდაჭერა: ევროკავშირი აღმოსავლეთ პარტნიორობის რეგიონში პროგრამის, EU4Energy ახალ ფაზას იწყებს

2021 წლის 8 ივლისს ევროკომისიამ თავისი პროგრამის, EU4Energy ახალი ეტაპის — „სუფთა ენერჯიაზე გადასვლის მხარდაჭერა აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში: პროგრამის, EU4Energy II ფაზის“ დაწყება აღნიშნა.

პროგრამა, რომელიც 2024 წლამდე გაგრძელდება, მიზნად ენერგეტიკის სანდო საკანონმდებლო და სარეგულაციო ჩარჩოების შემუშავებას ისახავს, რაც რეგიონის სუფთა ენერჯიაზე გადასვლას და ენერგეტიკული ბაზრის ლიბერალიზაციას შეუწყობს ხელს.

პროგრამა გაითვალისწინებს ისეთ ახალ გამოწვევებს და პერსპექტივებს, როგორცაა ენერგეტიკასთან დაკავშირებული ბაზრის ყველა სემენტში ციფრული გარდაქმნის ეტაპობრივი ჩართვა და ხარჯების ამსახველი ტარიფების მხარდაჭერა. აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების მოქალაქეებისთვის სარგებლიანი იქნება გარემო, რომელიც ხელს შეუწყობს ინვესტიციების ჩადებას მდგრად ენერგეტიკაში, პრიორიტეტს მიანიჭებს ინფრასტრუქტურულ პროექტებს, გააუმჯობესებს რეგიონული ბაზრის ინტეგრაციას და შიდა რეგიონულ ვაჭრობას.

აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების მოქალაქეთა დაინტერესების მიზნით, პროგრამა თავის საქმიანობასა და რეფორმებში მათ მონაწილეობას კონსულტაციების, განხილვების თუ კამპანიების მეშვეობით შეუწყობს ხელს. ამ პროცესში განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდება გენდერულ თანასწორობაზე, ენერგეტიკის სექტორში ქალთა დასაქმებაზე და მათ მიერ მმართველი პოზიციების დაკავების პოტენციალის გამოყენებაზე.

„აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებმა დიდ პროგრესს მიაღწიეს თავიანთი კანონმდებლობების ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის და ენერგეტიკული ბაზრების ევროკავშირთან დაახლოების სფეროში. ამან მომხმარებლის უფლებებისა და შესაძლებლობების გასაფართოებლად და უცხოური ინვესტიციების მოსაზიდად ხელსაყრელი გარემო შექმნა“, — განაცხადა სამეზობლოს და გაფართოების საკითხებზე მოლაპარაკებების გენერალური დირექტორატის (DG NEAR) ევროპული მწვანე შეთანხმების და კავშირების გუნდის ხელმძღვანელმა, მაიკლ რუპმა, — “პროგრამის მიერ დღემდე მიღწეული წარმატებები აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების და მოქალაქეების

ევროპული ფასეულობების მიმართ ერთგულებას წარმოაჩენს. მათი როლის ხაზგასმა ძალზე მნიშვნელოვანია — ევროკავშირს შეუძლია, აღმოსავლეთ პარტნიორობის რეგიონს თავისი ექსპერტული ცოდნით დაეხმაროს, მაგრამ ჩვენი რეკომენდაციების საქმედ გარდაქმნა ამ ქვეყნების მთავრობების და მოქალაქეების პასუხისმგებლობაა“.

პროგრამის, EU4Energy მთლიანი ბიუჯეტი 8.5 მილიონი ევროა და მას ევროკავშირი აფინანსებს.

<https://cutt.ly/LmRFTJa>

## თბილისის მერია 90 მილიონად გარე განათებას ყიდულობს - ტენდერი

### ხელახლა გამოცხადდა

თბილისის მერია გარე განათებების სისტემის გამოცვლაზე 89.7 მილიონ ლარს დახარჯავს. LED ნათურების შესასყიდად მერიის დაქვემდებარებაში არსებულმა კომპანიამ "თბილსერვის ჯგუფმა" 3 ტენდერი უკვე გამოაცხადა.

29.8 მლნ ლარის, 29.1 მლნ ლარის და 30.7 მლნ ლარის სავარაუდო ღირებულების ტენდერებით ჯამში ასი ათასი LED განათების შეძენა არის დაგეგმილი.

თბილისის მთავრობის 28 აპრილის განკარგულების თანახმად, თბილისის მერიამ "თბილსერვის ჯგუფს" შესყიდული LED სანათების ფასი 10 წლის განმავლობაში "ეტაპობრივი გადახდით" უნდა აუნაზღაუროს. მნიშვნელოვანია გარემოება, რომ მსგავსი პირობებით "თბილსერვის ჯგუფმა" 3 ტენდერი მაისის დასაწყისშიც გამოაცხადა, თუმცა ტენდერში მონაწილეობა არცერთმა პრეტენდენტმა არ მიიღო. ტენდერში მონაწილეობის მსურველებს არაერთი კითხვა ჰქონდათ, მათ შორის თანხის მიღების გარანტიასთან დაკავშირებით.

თბილისის მთავრობის განკარგულებაში ამ შესყიდვის ღირებულების დაფინანსების წყაროდ მითითებულია ის ეკონომია, რასაც დედაქალაქის ბიუჯეტი არსებული, ანუ სოდიუმის გარე განათების ნათურების LED ნათურებით ჩანაცვლებით მიიღებს. ახალი LED ნათურები სოდიუმის განათებებთან შედარებით რამდენჯერმე ნაკლებ ელექტროენერგიას მოიხმარენ - შესაბამისად, მათი შენახვა დედაქალაქის გადასახადის გადამხდელებს უფრო იაფი დაუჯდებათ. სწორედ მომავალში მისაღებ ელექტროენერგიის ეკონომიას უთითებს თბილისის მერია ამ შესყიდვის დაფინანსების წყაროდ.

თავად სატენდერო ხელშეკრულების პროექტშიც ნათქვამია, რომ "თბილსერვის ჯგუფი" ამ LED ნათურების საფასურს ტენდერში გამარჯვებულ კომპანიას 120 თვის ვადაში, ანუ 10 წელში გადაუხდის.

<https://cutt.ly/0mRFINU>

## კლიმატის ცვლილება

### 2050 წლის ბოლოსთვის კლიმატის ცვლილების გამო მსოფლიო ეკონომიკა 10%-ით შემცირდება

Swiss Re Institute-ი გლობალურ ეკონომიკაზე კლიმატის ცვლილების გავლენის შესახებ უახლეს კვლევას აქვეყნებს. პროგნოზის მიხედვით, 2050 წლის ბოლოსთვის კლიმატის ცვლილების გამო მსოფლიო ეკონომიკის 10%-ით შემცირებაა მოსალოდნელი. ანგარიშში ასევე აღნიშნულია, რომ კლიმატური პრობლემების სავარაუდო გამწვავებისა და ტემპერატურის 3.2°C-ით მატების გამო, შესაძლოა ეს მაჩვენებელი 18%-მდეც კი გაიზარდოს.

ამას გარდა, განხილულია პოზიტიური სცენარებიც. იმ შემთხვევაში, თუ პარიზის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მიზანმდე შემცირდება ტემპერატურის ზრდა, კლიმატის ცვლილება ეკონომიკას მხოლოდ 4%-ით შეამცირებს. ხოლო თუ ტემპერატურის ზრდა 2°C-ს შეადგენს, მსოფლიო ეკონომიკის შემცირების მაჩვენებელი 14%-ს მიაღწევს.

აღსანიშნავია, რომ კლიმატის ცვლილებები განსაკუთრებით აზიის ქვეყნებს დააზიანებს. მოსალოდნელია, რომ ყველაზე ცუდ შემთხვევაში ჩინეთი მშპ-ის თითქმის 24%-ს დაკარგავს, როდესაც იგივე მაჩვენებელი აშშ-ისთვის – 10%-ს, ხოლო დიდი ბრიტანეთისა და კანადისთვის 11%-ს შეადგენს.

გლობალური დათბობით გამოწვეული კლიმატური კატაკლიზმები განსაკუთრებით დააზიანებს ისეთ აზიურ ქვეყნებს, როგორცაა მალაიზია, ტაილანდი, ინდოეთი, ფილიპინები და ინდონეზია. განვითარებული ქვეყნები, როგორცაა აშშ, კანადა, შვეიცარია და გერმანია კი ნაკლებად დაზარალებიან კლიმატის ცვლილებით.

მსოფლიოს ეკონომიკური ფორუმის გლობალური რისკების 2021 წლის ანგარიშის მიხედვით, კლიმატის ცვლილების წინააღმდეგ ეფექტიანი ნაბიჯების გადადგმა მსოფლიოსთვის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი გრძელვადიანი გამოწვევაა. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაძლოა მილიარდობით ადამიანი აღმოჩნდეს კლიმატის ცვლილებით გამოწვეული კატასტროფების წინაშე.

<https://cutt.ly/GmRFPBM>

### 18.3 გრადუსი ცელსიუსი — გაერო ანტარქტიდის ახალ ტემპერატურულ რეკორდს ოფიციალურად ადასტურებს

გაერომ ანტარქტიდის კონტინენტის ახალი, რეკორდულად მაღალი ტემპერატურა ოფიციალურად აღიარა — დაადასტურა, რომ შარშან იქ ჰაერის ტემპერატურამ 18,3 გრადუს ცელსიუსს მიაღწია.

მსგავსი: ანტარქტიდაზე რეკორდულად მაღალი ტემპერატურა, +18 გრადუსი დაფიქსირდა გაერო-ს მსოფლიო მეტეოროლოგიური ორგანიზაციის განცხადებით, ეს ტემპერატურა არგენტინის კვლევითმა სადგურმა „ესპერანსამ“ ანტარქტიდის ნახევარკუნძულზე 2020 წლის 6 თებერვალს ჩაიწერა.

„მაქსიმალური ტემპერატურის რეკორდის დადასტურება მნიშვნელოვანია, რადგან გვეხმარება, დედამიწის ერთ-ერთი საბოლოო საზღვრის ამინდისა და კლიმატის სურათი

დავხატოთ. ანტარქტიდის ნახევარკუნძული პლანეტის ერთ-ერთი ყველაზე სწრაფად გათბობადი რეგიონია, სადაც ტემპერატურამ გასული 50 წლის განმავლობაში 3 °C-ით მოიმატა“, — ამბობს მსოფლიო მეტეოროლოგიური ორგანიზაციის გენერალური მდივანი პეტერი ტაალასი.

მისივე განცხადებით, ეს ტემპერატურული რეკორდი სრულ შესაბამისობაშია ამჟამად მიმდინარე კლიმატის ცვლილებასთან.

როგორც უახლესი კვლევები აჩვენებს, ორი გრადუსით დათბობა გრენლანდიისა და დასავლეთ ანტარქტიდის ყინულის საფარს უკან არდაბრუნების წერტილამდე მიიყვანს. ამ რეგიონების ყინულის მთლიანად გადნობა ოკეანის დონეს 13 მეტრით მაღლა ასწევს.

„ეს ახალი რეკორდი კიდევ ერთხელ შეგვახსენებს, რომ კლიმატის ცვლილება გადაუდებელი ზომების მიღებას მოითხოვს“, — ამბობს მსოფლიო მეტეოროლოგიური ორგანიზაციის პირველი ვიცე-პრეზიდენტი სელესტე საულო, არგენტინის ამინდის ეროვნული ბიუროს ხელმძღვანელი

<https://cutt.ly/FmRFSXu>

## პუბლიკაციები

საერთაშორისო ენერგეტიკული ქარტიის სამდივნომ გამოაქვეყნა [2020 წლის მე-4 კვარტალური საინფორმაციო ბიულეტენი](#)

განახლებადი ენერჯის საერთაშორისო სააგენტოს (IRENA) ახალი ანგარიში [Global Renewables Outlook 2050](#)

წარმოგიდგინებთ პროფ. თეიმურაზ გოჩიტაშვილის ახლახან გამოქვეყნებულ ინგლისურ ენოვან მონოგრაფიას [„საქართველოს ნავთობისა და გაზის სექტორი გარდამავალ პერიოდში“](#)

## ღონისძიებები

**მე-3 ევროპული კონფერენცია და გამოფენა - Biogas PowerON 2021**

თარიღი: 1-2 სექტემბერი, 2021

ადგილი: კოპენჰაგენი, დანია

<https://cutt.ly/tvmpeeF>

**მე-3 ევროპული კონფერენცია - Future of Biofuels 2021**

თარიღი: 5-6 15 ოქტომბერი, 2021

ადგილი: კოპენჰაგენი, დანია

<https://fortesmedia.com/future-of-biofuels-2021,4.en,2,1,13.html>



**მე-16 კონფერენცია ენერგეტიკის, წყალმომარაგების და გარემოსდაცვითი სისტემების მდგრადი განვითარების (SDEWES) საკითხებზე**

თარიღი: 10-15 ოქტომბერი, 2021

ადგილი: დუბროვნიკი, ხორვატია

Covid-19-ის სიტუაციის მიხედვით, კონფერენცია ჩატარდება ან ჰიბრიდულ, ან სრულად ონლაინ რეჟიმში.

<https://www.dubrovnik2021.sdewes.org/>

**მე-14 საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია ენერგეტიკის და კლიმატის ცვლილების საკითხებზე**

თარიღი: 13-15 ოქტომბერი, 2021

ადგილი: ათენი, საბერძნეთი, ათენის ეროვნული უნივერსიტეტის შენობა "Kostis Palamas"

<https://promitheasconference.wordpress.com/>